პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№34 (6159) 16 1978 წ. მაისი, სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ჰოკეი

## საბჭოთა ნაკრები — მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი



პრაღაში დამთავრდა ჰოკეისტთა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები.

მოხდა ისე, რომ ბოლო მატჩის წინ საბჭოთა გუნდს ორი შაიბის უპირატესობით უნდა მოეგო, ჩემპიონობა რომ დაებრუნებინა. საბჭოთა ჰოკეისტებმა ბრწყინვალედ შეასრულეს ამოცანა და დაამარცხეს ჩეხოსლოვაკიელები ანგარიშით 3:1. კანადელებმა მოუგეს შვედებს — 3:2. საბოლოოდ ფინალურ ჯგუფში ადგილები ასე განაწილდა:

| | მ. | ფ. | წ. | შ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 9 | 0 | 1 | 61—26 | 18 |
| ჩეხოსლოვაკია | 9 | 0 | 1 | 54—21 | 18 |
| კანადა | 5 | 0 | 5 | 38—36 | 10 |
| შვეცია | 4 | 0 | 6 | 39—37 | 8 |

V-VIII ადგილებისთვის მებრძოლი გუნდები ცდილობდნენ, რომ უკანასკნელ ადგილზე არ გასულიყვნენ. გდრ-ისა და ფინეთის გუნდების შეხვედრაში გადაწყდა ბოლო ადგილის ბედი. გაიმარჯვეს ფინელებმა — 7:2 და გდრ-ის ადგილს გაისად მოსკოვში, მსოფლიოს ჩემპიონატზე პოლონეთის გუნდი დაიკავებს. გფრ-სა და აშშ-ს გუნდები ამ დროს, რომ იტყვიან, მშვიდად იყვნენ. მათ შეხვედრაში გაიმარჯვეს დასავლეთგერმანელმა ჰოკეისტებმა — 8:4.

აი, მეორე ოთხეულის საბოლოო ცხრილი:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| გფრ | 3 | 3 | 4 | 35—43 | 9 |
| აშშ | 2 | 2 | 6 | 38—58 | 6 |
| ფინეთი | 2 | 2 | 6 | 37—44 | 6 |
| გდრ | 1 | 3 | 6 | 20—57 | 5 |

* * *

სურათზე: საბჭოთა გუნდის ჰოკეისტები — მეკარე ვ. ტრეტიაკი და მცველი ვ. ვასილიევი.

ხაკდესის ფოტოქრონიკა.

# სპარტაკიადებიდან ოლიმპიადებისაკენ

წლევანდელი სპორტული სეზონი სსრ კავშირის ...ხთა სპარტაკიადების ნიშნით მიმდინარეობს. ...აფხულის მიჯნაზე სვერდლოვსკის ოლქსა და სა...თველოს დაბა ბაკურიანში წარმატებით დამთავ... ზამთრის IV სპარტაკიადის ფინალები, ახლა კი ...ლგან დაიწყო ზაფხულის VII სპარტაკიადის პრო...მით გათვალისწინებული მასობრივი შეჯიბრებები. ...სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადები ჩვენი ფი...ულტურული მოძრაობის ფართო დათვალიერებაა. ...ოლოდ ზამთრის სტარტებზე 31 მილიონზე მეტი ...ორტსმენი გამოვიდა. ამაღლდა შეჯიბრების მონაწი...თა ოსტატობის დონე. მათგან 11 მილიონი მშდ ...მპლექსის ნიშნოსანი გახდა, 5 მილიონმა სათანრი... ნორმატივები შეასრულა. რეკორდების ცხრილშიც ...ერთი შესწორებაა შეტანილი. საზაფხულო ასპა...ზობები უფრო მეტს გვპირდება. სეზონის სასტა...ო შეჯიბრებებში ქვეყნის ყოველი კუთხის მორბე...ლთა უმრავლესობამ „პრავდის“ პრიზზე საკავში... კროსის ფინალებში საკმაოდ გააუმჯობესა სპო...ტული შედეგები

ფიზკულტურული მოძრაობის ახალი წარმატებები ...კავშირებულია მისი მატერიალური ბაზის მუდმივ ...მტკიცებასთან. განსაკუთრებით დიდი სპორტული ...ენებლობაა გაჩაღებული მოსკოვში, რომელიც XXII ...ლიმპიური თამაშებისთვის ემზადება. ამასთან ყველა ...ენებული ობიექტი, როგორც ტალინის საფროსნო

## ПРАВДА

### 14 მაისის მოწინავე

...პორტის ცენტრი, ოლიმპიადა-80-ის შემდეგ საბჭოთა ...ლხის სამსახურში ჩადგება. მარტო უკანასკნელ ...ლებში ჩვენს ფიზკულტურელებს ბრწყინვალე ნა...გებობები გადაეცათ კიევში, სვერდლოვსკში, გორ...ში, ოდესაში, ტოლიატიში, სიკტივკარში და ბევრ ...ვა ქალაქში. არც ერთ ქვეყანას არა აქვს ამჟამად ...ე დიდი რაოდენობით და ყველასათვის ხელმისაწ...დომი სპორტული ბაზა.

ყველაფერ ამაში ნათლად ჩანს ჩვენი პარტიისა ...ა მთავრობის მუდმივი ზრუნვა ფიზკულტურისა და ...პორტის განვითარებისთვის, რომელიც მნიშვნელო...ანი საშუალებაა ხალხის ჯანმრთელობის განმტკიცე...ბისა და მშრომელთა კომუნისტური აღზრდისთვის. ...აზრდება ღონიერი, გამოწრთობილი საბჭოთა ახალ...აზრდობა, რომელიც მზადაა მაღალნაყოფიერი შრო...მისთვის და სამშობლოს დასაცავად.

ბოლო დროის დიდ საერთაშორისო ასპარეზობე...ში საბჭოთა სპორტსმენთა წარმატებები, ქვეყნის ...ირველობებში მონაწილეების მიერ ნაჩვენები მაღა...ი შედეგები ნათლად გვიჩვენებს იმას, თუ რაოდენ ...მოუწურავ რეზერვს ფლობს ჩვენი ფიზკულტურუ...ლი მოძრაობა და როგორი სწორი გზით მიდის ოლი...მპიური 1980 წლისკენ. მაგრამ სპორტული მეტოქეო...ბა მსოფლიო სარბიელზე ყოველწლიურად მწვავდე...ბა და წამყვანი პოზიციების განსამტკიცებლად საჭი...როა ახალი რეზერვების მუდმივი გამოვლინება, ათ...ლეტთა მომზადების სრულყოფა.

ახლა იწყება საპასუხისმგებლო სტარტები იმათ...თვის, ვინც მოსკოვის ოლიმპიური თამაშებისთვის ...ემზადება. ახალი სეზონი ამ მხრივ განსაკუთრებულია — სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის სტარტე...ბში მილიონობით მძლეოსნები, მოცურავეები, ვე...ლოსიპედისტები, ნიჩბოსნები და ბურთით სხვადასხ...ვა თამაშის თაყვანისმცემლები იასპარეზებენ. მნიშ...ვნელოვანია, რომ თითოეულმა მათგანმა შეძლოს ...მთლიანად გამოავლინოს თავისი შესაძლებლობა და არც ერთი ნიჭიერი ათლეტი არ დარჩეს მწვრთნელების ყურადღების გარეშე.

რაზეა დამოკიდებული ოლიმპიადისთვის წარმატებით მზადება? უპირველესად, სპორტკომიტეტებისა და სპორტსაზოგადოებათა საბჭოების კარგ ორგანიზაციულ მუშაობაზე. ისინი მოწოდებული არიან რაც შეიძლება უკეთ წარმართონ და კონტროლი გაუწიონ მწვრთნელთა საბჭოს საქმიანობას, იზრუნონ ფიზკულტურის დარგში მეცნიერული გამოკვლევების განვითარებისთვის, სპორტის მატერიალური ბაზების განმტკიცებისა და მათი ეფექტური გამოყენებისთვის. საპასუხისმგებლოა მწვრთნელის როლიც. ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა გვყავს, მაგრამ ისინი მსოფლიო მწვერვალამდე იმ მწვრთნელებს აჰყავთ, რომლებიც პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების ხელშეწყობით მუდმივად სრულყოფენ ვარჯიშის სისტემას, აგებენ მას თანამედროვე მეთოდიკაზე, თავიანთ მოწაფეებს უნერგავენ პატრიოტიზმსა და საბჭოთა სპორტის დროშის ღირსების დაცვის პასუხისმგებლობის გრძნობას. მოწინავე მწვრთნელების მუშაობის გამოცდილება ფართოდ უნდა გავრცელდეს.

სპორტული ზაფხულისთვის ბევრგან სერიოზულად მოემზადნენ. გაარემონტეს სტადიონები, სათამაშო მოედნები, სანიჩბოსნო ბაზები. ჩქარი ტემპით მიმდინარეობს ახალი ბაზების მშენებლობა. ფიზკულტურულმა კოლექტივებმა დაგეგმეს და ზუსტად იცავენ ვარჯიშების, ზაფხულის სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებებისა და მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარების განრიგს. ოღონდაც ყველგან სათანადოდ ვერ არის მოგვარებული ეს საქმე. მაგალითად, კიევში რესპუბლიკური აქტივის კრებაზე გააკრიტიკეს ვინიცის, დონეცკისა და დნეპროპეტროვსკის ოლქების სუსტი ფიზკულტურული მუშაობა. ზამთრის გამოცდილების გათვალისწინებით აუცილებელია ყველაფერი გაკეთდეს, რათა საზაფხულო სეზონი უფრო აქტიურად ჩატარდეს და საბჭოთა სპორტს ახალ-ახალი წარმატებები მოუტანოს. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ისეთი პოპულარული ოლიმპიური სახეობების განვითარებას, როგორიცაა მძლეოსნობა, ცურვა, ტანვარჯიში, ნიჩბოსნობა, ფეხბურთი.

ზაფხულის სპარტაკიადა და მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობის შემდგომი აღმავლობის ამოცანები ადგილობრივი პარტიული კომიტეტების მუდმივი ზრუნვის ობიექტი უნდა იყოს. სწორად იქცევიან ისინი, ვინც ფიზკულტურული მუშაობის ორგანიზაციისთვის პასუხისმგებელი კომუნისტების ანგარიშებს ისმენენ, ამოწმებენ გეგმების შესრულებას. უნდა გაძლიერდეს პარტიული კონტროლი მშრომელთა საცხოვრებელი ადგილების მიხედვით მასობრივი დასვენების ადგილებში სპორტული ბაზებისა და მოედნების მშენებლობის მიმდინარეობაზე. ჯერჯერობით სათამაშო მოედნები ეზოებსა და პლაჟებზე, ჯანმრთელობის ადგილებში ცოტაა. სხვათა შორის, მათი მოწყობა არც ისე ძნელია თვითონ სპორტის ენთუზიასტთა ძალებით. საქმე მხოლოდ მის ორგანიზებაშია. პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, სახალხო დეპუტატების საბჭოებმა ყოველმხრივ უნდა დაუჭირონ მხარი შრომითი კოლექტივების, საზოგადოებრივი მწვრთნელების თაოსნობას, რომლებიც მიისწრაფვიან იმისკენ, რომ მეტი გაქანება მისცენ ფიზკულტურულ მოძრაობას.

მილიონობით ადამიანი გამოდის სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის სარბიელზე. ბევრი საბჭოთა სპორტსმენისთვის მსგავსი შეჯიბრებებით დაიწყო ოლიმპიური ხაპატიო კვარცხლბეკისკენ მიმავალი გზა.

დაე, წარმატება იყოს მომავალი სტარტების მონაწილეთა თანამგზავრი!

მშვიდობის ველორბოლა

## რისკი გამარჯვების საწინდარია




მშვიდობის 31-ე ველორბოლაზე გაიმართა III და IV სტარტები. შაბათს მონაწილენი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ერფურტ — ზულის 127-კილომეტრიან ტრასაზე. ორი მძიმე და ძნელი დღის შემდეგ სპორტსმენებისთვის ეს ეტაპი ერთგვარ შვებას წარმოადგენდა, მაგრამ უშეღავათო ბრძოლა სტარტიდან ფინიშამდე მაინც არ შეწყვეტილა. ზულის სტადიონზე პირველი შევიდა ზ. შმაისერი (გდრ) — 2:57.58. ასეთივე მაჩვენებლები ჰქონდათ მ. კლასსა (ჩეხოსლოვაკია) და პ. კოხს (გდრ).

კვირას გაიმართა მეოთხე ეტაპი ზული — ჰერა, რომლის სიგრძე 164 კილომეტრია. სპორტსმენებს ამ დღეს ამინდი გაცილებით უკეთესი დაუდგათ: არ წვიმდა, ტემპერატურამ 12 გრადუსამდე აიწია. დასახლებულ პუნქტებში ტრასის ორივე მხარეს გამოფენილი ათასობით მაყურებელი მქუხარე ოვაციებით აჯილდოებდა მონაწილეებს. ამ ეტაპზე რბოლაში 72 კაცი ჩავება. სხვები ასპარეზობას გამოეთიშნენ.

რბოლის ლიდერს — შმაისერს სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. პიკუუსი 10 წამით ჩამორჩებოდა.

მოულოდნელად თითქმის სტარტიდანვე დაწინაურდნენ სსრ კავშირის ნაკრების დებიუტანტი ფსკოველი ი. ზახაროვი და მ. რამაშჩიანუ (რუმინეთი). ამ დუეტმა 120 კილომეტრი ერთად გაიარა, ისინი მორიგეობით ლიდერობდნენ და იყო მომენტი, როცა ძირითად ჯგუფს 6 წუთით უსწრებდნენ. შემდეგ ჩამორჩენილებმა ტემპს საგრძნობლად უმატეს, მაგრამ მხოლოდ ის შეძლეს, რომ ლიდერებთან სხვაობა წუთნახევრამდე დაეყვანათ. ეტაპი მოიგო ზახაროვმა, რამაშჩიანუ ჰერას სტადიონზე მოწყობილ ფინიშთან მეორე მიიჭრა.

ძირითად ჯგუფს წინ უძღოდნენ შმაისერი და პიკუუსი. ამ უკანასკნელმა სტადიონის ვირაჟზე სცადა შმაისერის ჩამოტოვება, მაგრამ ინერციამ იგი განზე გაიგდო, რამაც შმაისერს საშუალება მისცა III ადგილი დაეკავებინა.

ოთხი ეტაპის შემდეგ რბოლაში ლიდერობს შმაისერი.

გუნდურ ჩათვლაში წინ არიან საბჭოთა ველოსიპედისტები, შემდეგ მოდიან გდრ-ის და ჩეხოსლოვაკიის კოლექტივები.

კრივი

კიდევ ერთი, უკვე მესამე საბჭოთა მოკრივე გამოაკლდა ბელგრადში მსოფლიოს მეორე ჩემპიონატის მონაწილეთა რიგებს.

ყველაზე მჩატე (48 კგ) წონის მოკრივეთა შეჯიბრებაში ჩემპიონატის დებიუტანტმა შ. საზიროვმა ნოკაუტით წააგო გამოცდილ ვენესუელელ მოკრივე ა. გევარასთან.

მშვილდოსნობა

პიატიგორსკში გაიმართა რსფსრ-ს სოფლის სპორტსმენთა თამაშების პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება მშვილდოსნობაში. ჩიტელმა მ. დაბაევმა 1287 ქულა მოაგროვა და საკავშირო რეკორდი დაამყარა.

# გფრ-ის სპორტულ მოღვაწეთა დელეგაცია საქართველოში

სსრ კავშირის სპორტკომიტეტის მოწვევით ჩვენს ქვეყანაში სტუმრად მყოფი გერმანული სპორტული კავშირის (ღსბ) დელეგაცია პრეზიდენტის ვ. ვაიერის ხელმძღვანელობით საქართველოს ეწვია. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ აგრეთვე, კავშირის ვიცე-პრეზიდენტები დ. ლანდსბერგი და ჰ. ჰანსენი, უმაღლესი მიღწევების სპორტის განყოფილების ხელმძღვანელი ჰ. ფილაკი და გერმანული სპორტის კავშირის გენერალური მდივანი კ.-ჰ. გიზელერი.

გფრ-ის სპორტულ მოღვაწეთა დელეგაციასთან ერთად ჩამოვიდა სსრ კავშირის სპორტკომიტეტის საერთაშორისო სპორტული კავშირების სამმართველოს უფროსი დ. ი. პროხოროვი.

სტუმრებმა დაათვალიერეს თბილისის სპორტული ბაზები, იყვნენ ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე, შეხვდნენ მწვრთნელებსა და სპორტსმენებს, მათ შორის მსოფლიოს ექს-ჩემპიონს ო. ფხაკაძეს, ევროპის თასის მფლობელს ნანა იოსელიანს.

დელეგაცია ეწვია ქალაქ გორს. სტუმრებმა დაათვალიერეს ქალაქის ღირსშესანიშნაობანი.

საქართველოს სპორტკომიტეტში გამართულ შეხვედრაზე საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარე დ. პერტენავა სტუმრებს ესაუბრა რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულ ცხოვრებაზე, თანამედროვე სპორტული და ოლიმპიური მოძრაობის ზოგიერთ საკითხზე.







# მასპინძლობდა თბილისი

სოციალისტური ქვეყნების „დინამოს“ სპორტულ ორგანიზაციებს შორის დიდი ხანია ტრადიციად იქცა საერთაშორისო შეხვედრები თანამედროვე ხუთჭიდში. ამჯერად ხუთჭიდელთა ფორუმს თბილისი მასპინძლობდა.

დედაქალაქის საუკეთესო სპორტულმა ბაზებმა სტუმართმოყვრულად გაუღეს კარი სპორტის ამ სახეობის თაყვანისმცემლებს და უნდა ითქვას, რომ თბილისელი გულშემატკივრები ვაჟკაცური, ნამდვილი სპორტული შერკინების მოწმენი გახდნენ.

მასპინძლებთან ერთად ტურნირში მონაწილეობდნენ: საბჭოთა კავშირის, „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს, ყაზახეთის, რსფსრ-ს, ესტონეთისა და უნგრეთის „დოჟას“ („დოჟა“ „დინამოს“ მონათესავე კოლექტივია) ნაკრები კოლექტივები. ესტონეთი შეჯიბრებაზე მხოლოდ იუნიორთა გუნდით იყო წარმოდგენილი, ყაზახეთმა კი მხოლოდ მოზრდილთა გუნდი ჩამოიყვანა. დანარჩენი კოლექტივები ორ-ორი გუნდით გამოდიოდნენ. თითოეულში ირიცხებოდა 4-4 მონაწილე, რომელთაგან სამის საუკეთესო მაჩვენებელი გუნდურ ჩათვლაში იძლეოდა ქულებს.

თბილისელი თენგიზ ახალშენიშვილი, ლენინგრადელი პავლე პროკოფიევი და ალმაათელი ალექსანდრე ცვეტკოვი შეჯიბრებაზე მხოლოდ პირად ჩათვლაში მონაწილეობდნენ. გარდა ამისა — „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ნაკრების შემადგენლობაში გამოდიოდნენ თბილისელი იგორ ბრიზგალოვი და მიხეილ ნოვოსელცევი (იუნიორებში).

შეჯიბრების სტარტზე ცხენოსნებს ამინდის მხრივ არ გაუმართლათ — წინა ღამით დაწყებული წვიმა მთელი პირველი დღის განმავლობაში ერთხელაც არ შეწყვეტილა, ატალახებულ იპოდრომზე წინაღობების გადალახვისას ცხენოსნებს უჭირდათ მაქსიმალურად გამოემჟღავნებინათ თავიანთი შესაძლებლობები. თუმცა მეორე დღეს წვიმამ გადაიღო, მაგრამ გრუნტი კვლავ რბილი და ტალახიანი იყო, და მაინც გაიმარჯვეს უძლიერესებმა.

პირად ჩათვლაში პირველ ადგილზე 1070 ქულით „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს წარმომადგენელი ა. ზაპოროჟანოვი გამოვიდა. მეორე იყო თ. ახალშენიშვილი, რომელიც გამარჯვებულს ექვსი ქულით ჩამორჩა, ხოლო მესამე-მეოთხე ადგილებზე 1040 ქულით შესაბამისად ე. ოვსიანიკოვი („დინამოს“ ცენტრალური საბჭო) და შანდორ ტომაშევი („დოჟა“) გამოვიდნენ. გუნდურ ჩათვლაში 3022 ქულით დაწინაურდნენ ყაზახი სპორტსმენები (ვ. სლესარჩიკი — 1010, ვ. როჟკოვი — 1020 და ა. სიდოროვი — 992), მეორე ადგილზე 3000 ქულით „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ნაკრები გამოვიდა (ა. ზაპოროჟანოვისა და ე. ოვსიანიკოვის ნადავლს ი. ბრიზგალოვის 890 ქულა დაემატა), ხოლო მესამე ადგილი წილად ხვდა „დოჟას“ — 2980 (იშტვან ეზე — 980, შანდორ ტომაშევი — 1040, ლაიოშ ფაზეკაში — 960).

იუნიორ სპორტსმენთა შორის უძლიერესი იყო თედორე პორტნოვი (საქართველო) — 1100 ქულა. 1070 ქულით მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე ადგილებზე გამოვიდნენ შესაბამისად ე. ბაიანოვი („დინამოს“ ცენტრალური საბჭო), ხერენ ფატხი, ზოლტან ხუნადი და ჟოლტ ხიჩაკი (სამივე — „დოჟა“). გუნდურ ჩათვლაში 3210 ქულით ზემოაღნიშნული „ტრიოს“ შედეგების წყალობით წინ გავიდნენ უნგრელი იუნიორები. მეორე ადგილი წილად ხვდა საქართველოს გუნდს — 3150 (თ. პორტნოვის ქულებს დაემატა ზ. სომხიშვილისა — 1040 და გ. ბატრაკოვის — 1010 ქულები), ხოლო მესამე „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ნაკრებს — 2910 (ე. ბაიანოვის ქულებს ა. ჩუპრინისა — 890 და მ. ნოვოსელცევის — 959 ქულა დაემატა).

ფარიკაობაში პირველი ადგილი დიდი უპირატესობით მოიგო უნგრელმა იშტვან ეზემ — 1081. გამარჯვებულს 162 ქულით ჩამორჩნენ მე-2, მე-3 და მე-4 ადგილებზე გამოსული ა. ზაპოროჟანოვი, ი. სამსონოვი და ვ. გომილკო (ორივე—საქართველო). 2676 ქულით გუნდურ ჩათვლაშიც პირველი „დოჟას“ კოლექტივი იყო (ი. ეზე — 1081, შ. ტომაშევი — 811, ი. სილადი — 784). მეორე ადგილზე გავიდა საქართველოს გუნდი — 2649 (ვ. გომილკო — 919, ი. სამსონოვი — 919, დ. გრიგორი — 811), ხოლო მესამეზე — „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ნაკრები — 2591 (ა. ზაპოროჟანოვი — 919, ე. ოვსიანიკოვი — 915, ი. ბრიზგალოვი — 757).

იუნიორებს შორის 1081 ქულით პირველობა მოიპოვა უნგრელმა ფ. ხერენიმ. მეორე ადგილი დაიკავა ე. სავიხინმა — 1054 (რსფსრ), მესამე პრიზიორი გ. ბატრაკოვი (973, საქართველო) გახდა. გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობეს რსფსრ-ს მოფარიკავეებმა — 2757 ქულა (ვ. სავიხინი — 1054, ვ. კოლოპანევი — 946, დ. მატვეევი — 757). მეორე იყო უნგრეთის გუნდი — 2541 (ხ. ფატხი — 1081, ა. მიჟერი — 784, ზ. ხუნადი — 676), ხოლო მესამეზე „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს წარმომადგენლები გამოვიდნენ — 2487 (მ. ნოვოსელცევი — 865, ე. ბაიანოვი — 838, ე. ლიპეევი — 784).

ტყვიის სროლაში პირველ, მეორე და მესამე ადგილებზე გასულმა ს. უვაროვმა (რსფსრ), ი. სამსონოვმა და ვ. გომილკომ (ორივე — საქართველო) ქულათა თანაბარი რაოდენობა 1022-1022 დააგროვეს. 3000 ქულით გუნდური პირველობა საქართველოს „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს ნაკრებმა მოიგო. ცენტრალური საბჭოს ნაკრებმა 2890 ქულით მეორე ადგილი დაიკავა, ხოლო მესამე ადგილზე „დოჟა“ (2868 ქ) გამოვიდა.

იუნიორ მსროლელთა შორის 1044 ქულით პირველი იყო ა. მიჟერი („დოჟა“), ხოლო მეორე ადგილზე გასულმა თ. პორტნოვმა და მ. ნოვოსელცევმა 1022-1022 ქულა მოაგროვეს. გუნდური შეჯიბრება მოიგო „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს კოლექტივმა — 2956. საქართველოს გუნდი (2934 ქ.) მეორე ადგილს დასჯერდა, ხოლო მესამეზე იყო „დოჟა“ — 2890.

ცურვაში 1200 ქულით პირველი ადგილი დაიკავა ს. მაკაროვმა (საქართველო), 1192 ქულით მეორე ადგილი წილად ხვდა ი. ბრიზგალოვს, ხოლო მესამე ადგილზე გამოსულმა თ. ახალშენიშვილმა 1148 ქულა მოაგროვა. გუნდურში პირველ ადგილზე გავიდა „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს გუნდი — 3464, მეორეზე — საქართველო — 3444, ხოლო მესამეზე — რსფსრ — 3240.

იუნიორებში I-II ადგილები შესაბამისად ესტონელმა მოცურავეებმა დაიკავეს — ვ. გრებენიკოვმა — 1148 და ვ. ტეედლამ — 1132. მესამე იყო რსფსრ-ს წარმომადგენელი ა. საპორკინი — 1132. გუნდურ ჩათვლაშიც ესტონელებმა იმარჯვეს — 3356, შემდეგ მოდიან „დოჟა“ — 3276 და „დინამოს“ ცენტრალური საბჭო — 3100.

საინტერესოდ მიმდინარეობდა შეჯიბრება კროსში. კროსმენებს ლისის ტბის მიდამოებში მართლაც რომ კარგი ამინდი დაესწროთ. ყველას ლენინგრადელმა პ. პროკოფიევმა აჯობა — 1120, მეორე იყო ვ. ლევინი — 1072 („დინამოს“ ცენტრალური საბჭო), ხოლო მესამე — ს. მაკაროვი. გუნდურ ჩათვლაში ყველაზე მეტი ქულა დააგროვეს „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს სპორტსმენებმა (3261), მეორე იყო ყაზახეთის (3150), ხოლო მესამე — უნგრეთის (3045) გუნდი.

იუნიორ კროსმენთა შორის მ. ნოვოსელცევმა 1040 ქულით პირველი ადგილი დაიკავა, მეორეზე — იგივე ქულების ჯამით ა. საპრიკინი გამოვიდა, ხოლო მესამე ადგილის მფლობელმა ე. ლიპეევმა — 1032 ქულა მოაგროვა. გუნდური პირველობა „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ნაკრებმა მოიგო (3028), მეორეზე გავიდა რსფსრ (2940), ხოლო მესამე ადგილი უნგრელებს (2872) ხვდათ.

და ბოლოს, საერთაშორისო შეხვედრების პირველი პრიზიორი გახდა ა. ზაპოროჟანოვი (5182 ქულა), მეორე ადგილზე ე. ოვსიანიკოვი (4981) გამოვიდა, ხოლო ჩვენი თანამემამულე თ. ახალშენიშვილი (4953) მესამე ადგილს დასჯერდა.

იუნიორების პირად პირველობაზე ჩემპიონის საპატიო სახელი მოიპოვა ხ. ფატხიმ (5133), მეორე ადგილზე გავიდა მ. ნოვოსელცევი (4881), ხოლო მესამე ადგილი წილად ხვდა გ. ბატრაკოვს (საქართველო, 4879).

ორივე ასაკში გუნდები ასეთი თანმიმდევრობით დაეუფლნენ საპრიზო ადგილებს:

პირველი იყო „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ნაკრები (უფროსი ასაკი — 14822 ქულა, იუნიორები — 14335 ქულა,) მეორე ადგილზეა უნგრეთის „დოჟას“ კოლექტივი (14526, 14155), ხოლო მესამეს საქართველოს ხუთჭიდელები დაეუფლნენ (14504, 13672).

გამარჯვებულ გუნდებსა და სპორტსმენებს საქართველოს „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ნ. გვახარიამ საზეიმო ვითარებაში გადასცა ჯილდოები და ფასიანი საჩუქრები.

უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო შეჯიბრება თანამედროვე ხუთჭიდში მიმდინარეობდა მაღალორგანიზებულ დონეზე, რაშიც დიდი დამსახურება მიუძღვით ტურნირის ორგანიზატორებს, საქართველოს „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს აპარატის მუშაკებს, აგრეთვე მსაჯთა კოლეგიას საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის ვ. როგავას მეთაურობით.

**გ. დოლენჯაშვილი.**

• • •

სურათებზე: საბჭოთა კავშირის „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ნაკრები, მარცხნიდან: ი. ბრიზგალოვი, ე ოვსიანიკოვი, ვ. ლევინი, ა. ზაპოროჟანოვი; უნგრეთის „დოჟას“ კოლექტივი; თ. ახალშენიშვილი დისტანციაზე.

ავტორის ფოტოები.

## თანამედროვე ხუთჭიდი

## ხელბურთი

**ჩატარდა** სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ ზუგდიდის რაიონული საბჭოს 1978 წლის პირველობა ხელბურთში ქალთა და ვაჟთა გუნდებს შორის.

ვაჟთა შორის რაიონის ჩემპიონობა მოიპოვა ახალსოფლის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ნაკრებმა. მეორე ადგილზეა ონარიის ჩაის საბჭოთა მეურნეობის, ხოლო მესამეზე — ინგირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ხელბურთელები. ქალთა შორის უძლიერესის სახელი ზედაეწერის მეურნეობა-ტექნიკუმის წარმომადგენლებმა მოიპოვეს. მეორე და მესამე ადგილები წილად ხვდათ ცაიშელ და ონარიელ ხელბურთელებს.

**ჯ. ფიფია.**

# ჩვენი გამოსვლის შემდეგ

„ლელოს“ 26 თებერვლისა და 14 მარტის ნომრებში დაბეჭდილ წერილებში „ყურადღება: მოედანს იკავებენ... ავტომანქანები“ და „გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია“ ლაპარაკი იყო რუსთავში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით გამაჯანსაღებელი მუშაობისა და საწარმო-დაწესებულებებში ბაზების მოწყობის, ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობის ზოგიერთ ნაკლოვანებებზე.

საქართველოს კპ რუსთავის საქალაქო კომიტეტის მდივანი **ს. ამირიძე გვატყობინებს, რომ აღნიშნულ წერილებში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა.** მათი გამოსწორების გზებზე იმსჯელეს სახალხო დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა, მეტალურგიული, ქიმიური და ქიმიური ბოჭკოს ქარხნების, №1 სამშენებლო ტრესტის, ქალაქის საბინაო სამმართველოს ხელმძღვანელებმა.

ქიმიური ქარხნის ხელმძღვანელობამ სპორტული კომპლექსის მშენებლობის დაჩქარებისათვის შეიმუშავა კონკრეტული ღონისძიებანი, რომლის თანახმად კომპლექსი საექსპლოატაციოდ მაისის დამლევისათვის გადაეცემა.

ქიმიური ბოჭკოს ქარხნის სპორტული კომპლექსის საექსპლოატაციოდ გადაცემა 1980 წლისთვის არის დაგეგმილი. აქ უკვე მთლიანად დამთავრდა სპორტული მოედნის შემოღობვა, ტერიტორიის გაწმენდა, ფეხბურთის მოედანზე დაითესა სპეციალური ბალახი. მეორე კვარტლის ბოლომდე დამთავრდება სპორტული თამაშების მოედნების მოწყობა, სტადიონთან აიგო გასახდელი და საშხაპე, აუზისა და ტირის მშენებლობა მესამე კვარტალში დაიწყება და მომავალ წელს დასრულდება.

დაჩქარდა მეტალურგიული ქარხნის სპორტკლუბ „ფოლადის“ ბაზების რეკონსტრუქცია. მნიშვნელოვანი სამუშაოები უკვე დასრულდა. დარჩენილი საქმე წლის ბოლომდე დამთავრდება.

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს №1 ტრესტის ხელმძღვანელობას პარტიის საქალაქო კომიტეტმა დაავალა მაისის ბოლომდე მოაწესრიგოს საკუთარი სპორტული ბაზები, შეაკეთოს საცურაო აუზი და შემოღობოს სტადიონი.

## ჭიდაობა

### ...კლასიკოსებმა ძალა მოსინჯეს

**სამტრედიის** სპორტკომი...
სპორტულ დარბაზში 3 ...
გრძელდებოდა მოსწავლეთა ...
პუბლიკური პირველობა კლ...
კურ ჭიდაობაში 1961-1963 წ...
ში დაბადებულთათვის. შეჯი...
ბაში მონაწილეობდა თბილ...
ქუთაისის, მახარაძის, რუსთ...
ცხაკაიას, აჭარისა და სამტრე...
ნაკრები გუნდების 90-მდე მ...
დავე.

წონითი კატეგორიების მი...
ვით ჩემპიონები გახდნენ: რ. ...
ღუში (მახარაძე), რ. გულმამ...
ვი (თბილისი), გ. ლაბარტყავა ...
თაისი), გ. ცეცხლაძე (აჭარა) ...
ხაბელაშვილი, გ. ნუცუბიძე ...
ივანიძე, ზ. სანიკიძე, ზ. მეგ...
შვილი (ხუთივე — თბილისი) ...
აბდულაევი (რუსთავი), გ. თ...
ევი (თბილისი), კ. ხაფავა (...
რაძე), გ. შენგელია (სამტრედ...

აქვე გაიმართა ანალოგი...
შეჯიბრება თავისუფალ ჭიდა...
ში, რომელშიც 128 სპორტსმ...
მიიღო მონაწილეობა.

წონითი კატეგორიების მი...
ვით ჩემპიონები გახდნენ: გ. ...
ბაშვილი (ვანი), ზ. ყიფშიძე ...
ლნისი), პ. კაჭახიძე, ი. ბაბ...
(ორივე — თბილისი), ზ. შუ...
აშვილი (გორი), შ. შალამბე...
რ. იაშვილი, მ. ყვარჯეიშვილი ...
რაზმაძე (ოთხივე — თბილისი) ...
ნარიკაევი (კასპი), ა. მაისუ...
(რუსთავი), მ. ჯენჯაძე (ქუთაი...
პ. პაპიაშვილი (თბილისი).

შეჯიბრება მიზნად ისახავდა ...
ქართველოს მოსწავლეთა ნაკ...
გუნდების წევრების მზადების ...
მოწმებას როგორც კლასიკურ, ...
თავისუფალ ჭიდაობაში საკავ...
რო 30-ე სპარტაკიადისათვის, ...
მელიც დაიწყება 10 ოქტომბ...
ქალაქ ტაშკენტში.

შეჯიბრება კარგად იყო ორგ...
ზებული. საპრიზო ადგილებზე ...
მოსული მოჭიდავეები დაჯილ...
ვდნენ შესაბამისი ხარისხის სი...
ლებით.

**ი. ნიკოლეიშვილ...**

### შეირჩნენ უძლიერესნი

**თელავში** დამთავრდა „სპა...
აკის“ რესპუბლიკური საბჭოს ...
რად-გუნდური პირველობა ჭი...
ობა ძიუდოში, რომელშიც მო...
წილეობდა ცხრა გუნდი. პირვ...
ადგილი დაიკავა თბილისის ...
ლექტივმა, II ადგილი წი...
ხვდა თელავის ნაკრებს, III ...
მახარაძელ სპორტსმენებს.

წონითი კატეგორიების მიხ...
ვით ჩემპიონობა მოიპოვეს: ნ. ...
ვხიშვილმა, თ. ელიზბარაშვილ...
ბ. სამაშვილმა (ყველა — თბი...
სი), გ. იობიძემ, გ. დემეტრ...
(ორივე — ქუთაისი), გ. ჭელ...
გ. არსენიშვილმა (ორივე — ...
ლავი).

დაკომპლექტდა „სპარტაკ...
ნაკრები გუნდი, რომელიც მო...
წილეობას მიიღებს ცენტრალ...
საბჭოს პირველობაში, რომელ...
2—6 ივლისს ქალაქ ლიეპაია...
ტარდება.

**ა. კელიხაშვილ...**
სპორტის ოსტატ...

### კიდევ ერთი...

**ნაყოფიერად** მუშაობს დუ...
თის ბავშვთა სპორტული სკო...
ის ჭიდაობის სექცია (მწვრთნ...
ები ს. ფეიქრიშვილი და ზ. ...
დამონიძე). ამ სკოლაში აღზრ...
ლმა ბევრმა მოჭიდავემ შემდ...
მში დიდი წარმატებები მოიპ...
არა მარტო რესპუბლიკურ, ...
მედ საკავშირო და საერთაშორი...
სო სარბიელზეც. ნორჩი მოჭიდ...
ვეების შემდგომ დაოსტატებ...
დიდად უწყობს ხელს შიდასკ...
ლო შეჯიბრებები, რომლებიც ...
ხშირად ტარდება.

ამას წინათ გაიმართა ბავშვ...
სპორტული სკოლის შიდასკ...
ლო შეჯიბრება ძიუდოში. სკ...
ლის ჩემპიონის სახელს ერთმ...
ნეთს ეცილებოდა 1963-64 წლ...
ში დაბადებული ორმოცდაათამდე ...
მოსწავლე. შეჯიბრებამ ბევრი ნ...
ჭიერი და იმედის მომცემი მოჭ...
დავე გამოავლინა. წონითი კატე...
გორიების მიხედვით გაიმარჯვეს ...
დ. მანგიაშვილმა, გ. რუსიტაშ...
ლმა, ჯ. ცოლიკაშვილმა, გ. გოგ...
ლაურმა, ბ. ნაცვლიშვილმა, ზ. ...
ლხიტაშვილმა, გ. სამაშვილმა.

შეჯიბრებაში საპრიზო ადგი...
ბზე გამოსული მოსწავლეები სპ...
რტსკოლის დირექციამ ქებას ...
გელებით დააჯილდოვა.

**ზ. სიანაიძ...**

# ორი მატჩი რუმინელებთან

ბუქარესტი, 15 მაისი. აქ გაიმართა რუმინეთისა და სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების ამხანაგური საერთაშორისო მატჩი. თამაში დაიწყო სტუმრების შეტევებით და უკვე პირველივე წუთებზე ბლოხინს მიეცა ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა. 23-ე წუთზე ბლოხინმა მაინც მიაღწია საწადელს: მიიღო ფიოდოროვის გადაცემა, მოატყუა მცველები, მეკარეც და გაიტანა გოლი.

შესვენების შემდეგ თამაში მიმდინარეობდა გარდამავალი უპირატესობით, ანგარიშის გაზრდის შესაძლებლობა მიეცათ ბლოხინს და ყიფიანს. კერძოდ, ყიფიანი პირისპირ გავიდა მეკარე რედუკანუსთან და ვერ გამოიყენა საუკეთესო შანსი.

ჩვენმა ფეხბურთელებმა მატჩი ასეთი შემადგენლობით ჩაატარეს: დეგტიარევი (გონტარი), კონკოვი, ჟუპიკოვი, მახოვიკოვი, ბუბნოვი, პრიგოდა, ბერეჟნოი, ფიოდოროვი (კოლოტოვი), ბესონოვი, ყიფიანი (პეტრაკოვი), ბლოხინი.

• • •

ოდესა, 14 მაისი. სსრ კავშირის ახალგაზრდულმა ნაკრებმა აქ მიიღო რუმინელ თანატოლთა გუნდი და გაიმარჯვა ანგარიშით 1:0. ეს ერთადერთი გოლი გაიტანა შენგელიამ.

## ტურნირი პოლონეთში

პოლონეთში დამთავრდა ტურნირი ჭაბუკ ფეხბურთელთა შორის. კრაკოვში ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირისა და იუგოსლავიის გუნდები. საბჭოთა ფეხბურთელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 3:0 და 1 ადგილი დაიკავეს ტურნირში.

# ფეხბურთი

## II ლიგა. IV ზონა

13 მაისს გაიმართა II ლიგის IV ზონის ფეხბურთელთა გუნდების მორიგი ტურის კალენდარული მატჩები. ჩატარებულ შეხვედრათა შესახებ გვატყობინებენ ჩვენი კორესპონდენტები:

### „დინამო“ (ზუგდიდი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 3:0

ინტერესი მატჩისადმი დიდი იყო. ორივე გუნდი ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელია, ამასთან სამტრედიელები 2 ქულით უსწრებდნენ მეტოქეს. ასეთმა სიტუაციამ განაპირობა დაძაბული უშეღავათო ბრძოლა, მაყურებელი საინტერესო თამაშის მოწმე გახდა.

დინამოელებმა თავიდანვე შეუტიეს მოწინააღმდეგეს და უკვე მე-2 წუთზე აიღეს მისი კარი: ნაჭყებიამ კარგად გამოიყენა დარჯანიას გადაცემა და გახსნა ანგარიში. პირველ წარმატებას 5-ოდე წუთში მოჰყვა მეორეც, თანაც ამ შემთხვევაშიც გოლის ავტორი ისევ ნაჭყებია გახლდათ.

ზუგდიდელები არ ანელებდნენ აღებულ ტემპს, ანგარიშის გაზრდის შესაძლებლობა ჰქონდათ დარჯანიას, ნაჭყებიას და მხოლოდ შუა ტაიმში შეძლეს სტუმრებმა მდგომარეობის გათანაბრება. თამაშის ტემპი არ შენელებულა შესვენების შემდეგაც. ამასთან საერთო ინიციატივას კვლავ მასპინძლები ფლობდნენ. მე-60 წუთზე ჯუნიამ დროზე შეურჩია ადგილი ნაჭყებიას გადაცემას და თავით გაგზავნა მესამე ბურთი ლოკომოტიველთა კარში. ამ დამსახურებული გამარჯვებით ზუგდიდის „დინამომ“ განიმტკიცა ადგილი ლიდერთა შორის.

მატჩის საუკეთესო მოთამაშეებად მიჩნეული იქნენ სამტრედიელი ანდღულაძე და ზუგდიდელი წულაია.

ზ. ალშიბაია.

### „დინამო“ (ბათუმი) — „გურია“ (ლანჩხუთი) 3:1

ტრადიციულ მეტოქეთა მატჩი მუდამ საინტერესო ბრძოლაში მიმდინარეობს. ასე იყო ამჯერადაც. მიუხედავად ნაწვიმარი მინდვრისა თამაში წარიმართა სწრაფად, ტემპიანად, მაღალ ტექნიკურ დონეზე.

პირველ წარმატებას მიაღწიეს სტუმრებმა: სევასტოპულომ კარგად ისარგებლა მოპირდაპირე დაცვაში დაშვებული შეცდომით და მე-6 წუთზე ძლიერად დაარტყა კარში — 1:0. დინამოელებმა მარცხს სწრაფი კონტრიერიშით უპასუხეს, „გურიის“ მეკარე იმნაძეს მოუხდა რამდენიმე ძნელი დარტყმის მოგერიება, მაგრამ 24-ე წუთზე იძულებული იყო ბადიდან გამოეტანა ბეჟანიძის მიერ დარტყმული ბურთი — 1:1.

მიმდინარეობდა მატჩის 31-ე წუთი, როცა დინამოელმა კაკალაძემ გარღვევაზე გაიყვანა გელაჭეიშვილი, ამ უკანასკნელმა გვერდი აუარა მცველებს, პირისპირ დარჩა მეკარესთან და გაიტანა გოლი — 2:1.

კიდევ უფრო დაიძაბა თამაში შესვენების შემდეგ. ორივე მხარეს მიეცა ანგარიშის გაზრდის შესაძლებლობა, 68-ე წუთზე ბეჟანიძე მარჯვენა ფლანგიდან შეიჭრა ლანჩხუთელთა საჯარიმო მოედანზე, სადაც იგი უხეშად წააქცია გაბრიჩიძემ. კაკალაძემ ზუსტად შეასრულა პენალტი — 3:1.

„გურია“ ბევრს ეცადა შეეტანა ცვლილება ანგარიშში, მაგრამ ბათუმელთა დაცვამ და მეკარე სურგულაძემ შეძლეს ყველა ხიფათის უვნებელყოფა.

ო. მურვანიძე.

* * *

სხვა მატჩები ლიგაში დამთავრდა ასეთი შედეგებით:

„შირაკი“ (ლენინაკანი) — „ხაზარი“ (ლენქორანი) 1:1, ფიზკულტურის ინსტიტუტი (ერევანი) — „ყარაბახი“ (სტეფანაკერტი) 1:1, „კოტაიკი“ (აბოვიანი) — „არაზი“ (ნახიჩევანი) 4:1, „ტორპედო“ (ტოლიატი) — „რუბინი“ (ყაზანი) 3:0, „გასტელო“ (უფა) — „ავტომობილისტი“ (ბაქო) 0:2, „ტურბინა“ (ნაბერეჟნიე ჩელნი) — „პროგრესი“ (კიროვაბადი) 2:0, „ზვეზდა“ (პერმი) — „ურალეცი“ (ნიჟნი ტაგილი) 6:0, „დრუჟბა“ (მაიკოპი) — „ზენიტი“ (იჟევსკი) 1:0.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 16 მაისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კოტაიკი“ | 11 | 9 | 1 | 1 | 17—2 | 19 |
| „შირაკი“ | 11 | 6 | 4 | 1 | 20—11 | 16 |
| „დინამო“ ზ. | 11 | 5 | 4 | 2 | 15—7 | 14 |
| „ლოკომოტ“. | 11 | 6 | 2 | 3 | 15—13 | 14 |
| „ზენიტი“ | 11 | 5 | 3 | 3 | 11—8 | 13 |
| ფიზკ. ინსტ. | 11 | 4 | 5 | 2 | 13—11 | 13 |
| „ზვეზდა“ | 11 | 4 | 4 | 3 | 14—7 | 12 |
| „გურია“ | 11 | 4 | 4 | 3 | 14—11 | 12 |
| „დინამო“ ბ. | 11 | 5 | 2 | 4 | 13—10 | 12 |
| „ყარაბახი“ | 11 | 5 | 2 | 4 | 11—8 | 12 |
| „დინამო“ ს. | 11 | 4 | 4 | 3 | 13—11 | 12 |
| „დრუჟბა“ | 11 | 4 | 3 | 4 | 14—10 | 11 |
| „გასტელო“ | 11 | 5 | 1 | 5 | 13—13 | 11 |
| „ტურბინა“ | 11 | 5 | 1 | 5 | 15—21 | 11 |
| „ურალეცი“ | 11 | 4 | 3 | 4 | 13—20 | 11 |
| „ტორპედო“ | 11 | 3 | 4 | 4 | 9—7 | 10 |
| „დილა“ | 11 | 2 | 6 | 3 | 10—12 | 10 |
| „გაზოვიკი“ | 10 | 3 | 3 | 4 | 11—10 | 9 |
| „დინამო“ კრ. | 10 | 4 | 1 | 5 | 10—12 | 9 |
| „რუბინი“ | 11 | 2 | 4 | 5 | 8—14 | 8 |
| „ავტომობ.“ | 11 | 4 | 0 | 7 | 9—16 | 8 |
| „ხაზარი“ | 11 | 2 | 2 | 7 | 8—18 | 6 |
| „პროგრესი“ | 11 | 2 | 1 | 8 | 11—20 | 5 |
| „არაზი“ | 11 | 1 | 2 | 8 | 10—25 | 4 |

## მარათონის მეხუთედი

ორი დღეც და დაიწყება უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის VII ტურის შეხვედრები. დღემდე კი პირველობაზე 47 მატჩია ჩატარებული, რაც მარათონული დისტანციის ერთ მეხუთედს წარმოადგენს. იქნებ ამიტომაც, ზედმეტი არ იყოს, აქთავითვე გადავავლოთ თვალი უკან დარჩენილ საფეხბურთო ბატალიებს და დავინახოთ, რა მოგვიტანა მიმდინარე სეზონმა, რამდენად გაამართლა ჩვენი მოლოდინი.

ახალი ჩემპიონატი, როგორც წესი, ახალ სახელებს, სიახლეებსა და, თუ გნებავთ, სიურპრიზებს წარმოაჩენს ხოლმე. ამ მხრივ 41-ე პირველობა მოკრძალებულ როლში სულაც არ გვევლინება. პირველსავე ტურებში გამოჩნდა ახალი სახელები: მცველები — ალექსანდროვი (ცსკა), მოვსესიანი („არარატი“), დურღიაძე (თბილისის „დინამო“), ნახევარმცველები — ბალტაჩა (კიევის „დინამო“), ნიკიტენკო („ქაირათი“), იშჩაკი („ჩერნომორეცი“), ვანიუშკინი („ტორპედო“), ლატიში („შახტიორი“), კოლესოვი (მოსკოვის „დინამო“) და სხვები, რომლებიც თამამად ჩადგნენ ძირითად შემადგენლობაში და პირველი სერიოზული საბრძოლო ნათლობა მიიღეს. მაგრამ მიმდინარე ჩემპიონატი მაინც სხვა სიახლით გამოირჩევა.

პირველობის დაწყებამდე, და ახლაც, რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რომლის ავტორები გვეკითხებიან, რა აზრისანი ვართ ჩვენს ფეხბურთში ახალი რეფორმის გატარების, კერძოდ ფრეების რიცხვის შეზღუდვის შესახებ.

რა დასამალია, ასეთი ნაბიჯის გადადგმა, რომ იტყვიან, კარგი ცხოვრებით არ არის გამოწვეული, იგი მიუღებელიც კია ფეხბურთის დაუწერელი კანონისთვის, მაგრამ რას იზამ, როცა ამ ბოლო დროს ესოდენ მოგვიმრავლდა ფრეების (ამასთან ერთად „დაპროგრამირებული“ ფრეების) რიცხვი და საგრძნობლად შემცირდა გუნდების აგრესიულობის კოეფიციენტი? ხომ გვახსოვს: გასული წლის ჩემპიონატის მატჩების 45 პროცენტი ფრედ დამთავრდა და მაყურებელი მეტწილად ინერტული, ცუდად დადგმული სპექტაკლების მოწმე ხდებოდა.

ჰოდა, ფეხბურთის საკავშირო სამმართველომ და ფედერაციამ მორიგი რეფორმა გაატარეს — თითოეული გუნდისთვის ფრეების მკაცრად დადგენილი რიცხვი (8) დააწესეს. ნათქვამია, წიწილებს შემოდგომით ითვლიანო; რა შედეგებს გამოიღებს საბოლოოდ ეს ახალი რეფორმა, ძნელი სათქმელია, ჯერჯერობით კი, ზოგიერთი პროგრესი მაინც შეიმჩნევა. ვილაპარაკოთ ფაქტებით:

47 შეხვედრაში გუნდებმა ახლა 106 ბურთი გაიტანეს, შარშან კი ამ დროისთვის მათ ანგარიშზე მხოლოდ 83 ბურთი იყო. ერთიორად და უფრო მეტად შემცირდა ფრეების რიცხვი (19-8). კიდევ ერთი მაგალითი: შარშან, ექვსი ტურის შემდეგ, ოთხი გუნდი (კიევის, მოსკოვის, თბილისის „დინამო“ და „ქაირათი“) იბრძოდა დაუმარცხებლად, წელს კი მხოლოდ ერთ გუნდს — „ტორპედოს“ არ განუცდია დამარცხების სიმწარე. ბუნებრივია, ასეთ მძაფრ, უშეღავათო ბრძოლებს განსაკუთრებით უნდა მიეზიდა მაყურებელი, მაგრამ...

სტატისტიკურ მონაცემებს რომ ვადევნდით, მეტად მოულოდნელი, თითქმის ალოგიკური ფაქტის წინაშე დავდექით: გუნდების შედეგიანობის გაზრდისა და მოსაწყენი ფრეების შემცირების პარალელურად... იკლო მაყურებელთა რაოდენობამ. თუ გასული წლის ჩემპიონატის ექვს ტურს 1 მილიონი 171 ათასი კაცი დაესწრო, ამჟამად ეს რიცხვი მხოლოდ 993 ათასს შეადგენს. იბადება კითხვა — რაშია საქმე? თქმა იმისა, რომ გუნდებმა თამაშის ხარისხი გააუარესეს, ფრიად სარისკოა. ესეც არ იყოს, მასპინძლები ხომ წელს უფრო ახარებენ თავიანთ გულშემატკივრებს. ინებეთ ამის ფაქტებიც: გასული წლის შესაბამისი პერიოდისთვის ბურთების სხვაობა იყო 51 — 32 მასპინძელთა სასარგებლოდ. წელს კი ეს მაჩვენებელი მკვეთრად გაიზარდა (70 — 31). შარშან 46 შეხვედრაში მასპინძლებმა 55 ქულა მოაგროვეს, სტუმრებმა — 37, წელს კი 47 მატჩში ქულების შეფარდებაა 71:23 მასპინძელთა სასარგებლოდ. დასკვნა მხოლოდ ასეთი შეიძლება იყოს: ადრე გაზაფხულზე ქვეყნის სამხრეთ ქალაქებში შექმნილმა არახელსაყრელმა კლიმატურმა პირობებმა საგრძნობლად შეუშალა ხელი სტადიონებზე მაყურებელთა დასწრებას.

მაგრამ სჯობს დავუბრუნდეთ მთავარ თემას — რა მოგვცა კიდევ ჩემპიონატის ახალმა ფორმულამ და რას უნდა ველოდოთ შემდგომში?

ფაქტი ერთია: პირველობას დღესაც ის გუნდები აძლევენ ტონს, რომლებიც შარშან ლიდერობდნენ (კიევის „დინამო“ თბილისის „დინამო“, „ტორპედო“, მოსკოვის „დინამო“). ერთი ესაა მხოლოდ — მოულოდნელი ფავორიტის როლში ალმა-ათის „ქაირათი“ ტაშკენტის „ფახტაქორმა“ შეცვალა. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ „ფახტაქორის“ თავდასხმა ამ ექვსი ტურია მეტად აგრესიულად გამოიყურება. წარმოიდგინეთ, რომ მეტოქის მოედანზე ორ წაგებულ შეხვედრაში ტაშკენტელებმა ექვსი ბურთი (!) გაიტანეს. გასულ წელთან შედარებით ორჯერ უფრო აგრესიული გახდა „ტორპედო“, რომელსაც ჯერჯერობით თითოეულ თამაშში საშუალოდ დაახლოებით 1,7 გოლი გააქვს. ბურთებზე უბრალოდ არ ჩამოგვიგდია საუბარი. თავდასხმაში თამაში კარგა ხანია გადაავიწყდათ ჩვენს გუნდებს და ვინძლო ის მონაცემები სასიამოვნო მომავლის პროლოგიც იყოს.

მცველთა უხეშობის ლიკვიდაციისა და თავდამსხმელთა შედეგიანობის გაზრდისთვის წელს მსაჯები გადამწყვეტ ღონისძიებებს იღებენ. მათ წელს 47 მატჩში 36 ფეხბურთელს მისცეს გაფრთხილება (ტაშკენტელმა აშიროვმა ორჯერ „დაიმსახურა“ ყვითელი ბარათი), ერთი ფეხბურთელი კი (ლენინგრადელი დამინი) მინდვრიდან გააძევეს (შარშან ამ დროისთვის ორი გაძევება და 18 გაფრთხილება იყო აღნუსხული). ამასთანავე მეტოქეების კარში დღემდე უკვე 15 თერთმეტმეტრიანია დანიშნული (შარშანდელთან შედარებით ხუთით მეტი).

ერთი სიტყვით, შეიძლება იმის თქმა, რომ ფრეების წინააღმდეგ გამოტანილმა სანქციამ აქამდე მხოლოდ დადებითი შედეგი მოგვიტანა. თუმცა, ისიც საფიქრებელია, რომ მეორე წრე მეტად მომქანცველი და ნერვიულად დაძაბული გამოდგება.

ცალკე უნდა შევეხოთ თბილისის „დინამოს“ გამოსვლებს. დინამოელები დღესდღეობით გასული წლის „გრაფიკით“ მიდიან. მათ ექვსი თამაშიდან ახლაც 9 ქულა აქვთ, რაც ურიგო შედეგად არ უნდა ჩაითვალოს. ამასთან ორსავე პოტენციურ მეტოქესთან — კიეველ და მოსკოველ თანაკლუბელებთან შეხვედრებში დინამოელებმა მეტად საინტერესო თამაში გვიჩვენეს.

მაგრამ საფიქრალი ცოტა როდი გვაქვს. თვალსაჩინოებისთვის კვლავ მრავლისმეტყველ ციფრებს მივმართოთ: ექვს ტურში დინამოელებმა 7 ბურთი გაიტანეს (შარშან ამ დროისთვის „დინამოს“ ანგარიშზე იყო 10 ბურთი). რას მივაწეროთ დაბალი შედეგიანობა? თავდასხმის ინერტულობას? ასეთი პასუხი მთლად გამართლებული არ იქნება. მოვიტანთ შემდეგ შედარებას: „ზარიას“ შემადგენლობაში შვიდმა ფეხბურთელმა გახსნა წელს ბურთების გატანის პირადი ანგარიში, „ფახტაქორში“, „ტორპედოში“, მოსკოვის „დინამოში“, „ზენიტში“ — ექვს-ექვსმა. თუ თბილისის „დინამოს“ მიერ გატანილ გოლებს გავიხსენებთ, დავადგენთ, რომ ჩვენი გუნდი ერთადერთია უმაღლეს ლიგაში, რომლის შემადგენლობიდან ჯერჯერობით მხოლოდ ორი ფეხბურთელი ემუქრება რეალურად მეტოქის კარს (შენგელია — 5 ბურთი, ყიფიანი — 2 ბურთი). ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ დანარჩენი ფეხბურთელები გოლის გატანას გადაეჩვივნენ? დღესდღეობით დაბალი შედეგიანობა ნაწილობრივ ამითაც უნდა აიხსნას, მაგრამ თუ მდგომარეობას ჩავუღრმავდებით, სხვა, უფრო რეალურ მიზეზებსაც აღმოვაჩენთ. არასტაბილურად თამაშობს დაცვის ხაზი (წელს ექვს მატჩში „დინამომ“ ხუთი ბურთი მიიღო), რის გამოც ნახევარმცველები რიგიანად ვერ ეხმარებიან თავდამსხმელებს. ალბათ, შეატყობდით, რომ ამჟამად დინამოელთა კაპიტანს იძულებით უწევს უკანა ხაზზე დაწევა და ე. წ. „ზვირთმჭრელად“ თამაში. ამის გამო კი ნახევარდაცვის „სოლი“ მეტოქის მხარეს კი არაა მიმართული, არამედ საკუთარი კარისკენ, რაც თავდასხმის კოეფიციენტის შემცირებასთან ერთად ხშირად იმის საშიშროებასაც ქმნის, რომ მოედნის ცენტრში მეტოქემ მოიპოვოს უპირატესობა. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ ხელი შეგვიშალა კოსტავასა და დარასელიას ტრავმებმა, ხოლო ჩივაძე ჯერ კიდევ ვერ ავლენს თავის შესაძლებლობებს. ვფიქრობთ, ეს და კიდევ სხვა ხარვეზები, რომელიც ბზარივით გაჩნდა „დინამოს“ კედელში, მალე შეივსება და გუნდი მომავალში კიდევ უფრო მოუმატებს თამაშს. საამისოდ დინამოელებს კარგი შესაძლებლობა აქვთ — 18 და 23 მაისის მატჩებში საკუთარ მოედანზე ბევრი რამის გამოსწორება შეიძლება.

გ. კოკიაშვილი.

## საუკეთესო მწვრთნელებს შორის

სულ ახლახან მოეწყო საფეხბურთო სპორტსკოლების მწვრთნელთა საკავშირო კონკურსი, რომელმაც შეაჯამა ჭაბუკ ფეხბურთელებთან მომუშავე სპეციალისტთა საქმიანობის შედეგები. მწვრთნელის მუშაობის შეფასებისას მთავარი ყურადღება ექცევა პერსპექტიულ ფეხბურთელთა აღზრდას სსრ კავშირის, მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები გუნდებისთვის, აგრეთვე, უმაღლესი, პირველი და მეორე ლიგების კოლექტივებისთვის.

კონკურსის შედეგად 1977 წლის საუკეთესო მწვრთნელთა შორის დასახელებულია ქუთაისის სპორტსკოლის აღმზრდელი ჰ. ხურციძე.

## „თბილისი — 78“

— ასე ეწოდება სამოყვარულო ავტორალს, რომელიც თბილისის დოსააფის საქალაქო კომიტეტისა და საქართველოს ავტომოყვარულთა საზოგადოების თბილისის საქალაქო საბჭოს ინიციატივით გაიმართა და გამარჯვების დღეს მიეძღვნა.

სასტარტოდ 25 ეკიპაჟი გამოვიდა. საზეიმო აღლუმის მონაწილეებს მიესალმა დოსააფის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე გ. შავგირაძე, რის შემდეგ ტექნიკურმა კომისიამ შეამოწმა მანქანები და გაიმართა პირველი სტარტი — ფიგურულ სვლაში ასპარეზობა.

რალის მონაწილეებს ყოველი ორი წუთის ინტერვალით სტარტი ეძლეოდა მარშრუტით: თბილისი, თბილისის ზღვა, მამკოდა, ლენინისი, ნორიო, მარტყოფი, ახალსოფელი, ვაზიანი, სართიჭალა, კრასნოგორსკი, უდაბნო, გარდაბანი, ჯანდარი, რუსთავი, მარნეული, კოდა, კუმისი, ტაბახმელა, თბილისი.

ნაშუადღევს რუსთავში, დოსაафის ბაზაზე ავტორალის მონაწილეებს ელოდათ 800-მეტრიანი სპრინტი და 400-მეტრიანი სლალომი, შემდეგ კი გზას აგრძელებდნენ ტაბახმელის გავლით თბილისკენ.

სპრინტში ყველაზე კარგად გამოვიდა გეოლოგ ზ. ჩიქოვანის მანქანა, რომელმაც 800 მეტრი 16,9 წამში დაფარა.

სულ ასპარეზობა 18 ეკიპაჟმა დაამთავრა. გამარჯვება წილად ხვდა თ. კოჩინაშვილისა და ა. ქურაკოვსკის ეკიპაჟს, რომელმაც 859,2 საჯარიმო ქულა მიიღო. II ადგილზეა ზ. ჩიქოვანისა და ა. ქურციკაშვილის ეკიპაჟი — 868,9, III დ. ვახტანგოვ — ა. შალიგინის მანქანა — 1127,8 საჯარიმო ქულა.

თ. ქიქავა.

• • •

სურათებზე: თ. კოჩინაშვილი გამარჯვების შემდეგ; ზ. ჩიქოვანი და ა. ქურციკაშვილი.

ავტორის ფოტოები.





ეროვნული ბიბლიოთეკა



# ოლიმპიური მოძრაობა დღეს და ხვალ

ათენი. სპორტულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იქნება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის საიუბილეო მე-80 სესია, რომელიც ოლიმპიადების სამშობლოში გაიმართება. სოკ-ის წევრები, საერთაშორისო ფედერაციების ხელმძღვანელები განიხილავენ თანამედროვე სპორტული მოძრაობის პრობლემებს. ამ სესიაზე დაასახელებენ 1984 წლის ზაფხულისა და ზამთრის ოლიმპიადების მასპინძელ ქალაქებს.

დიდ ინტერესს იწვევს მოსკოვის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის ანგარიში. 1980 წლის ოლიმპიადა პირველად გაიმართება სოციალისტურ ქვეყანაში, რომელმაც უდიდეს წარმატებას მიაღწია მასობრივი სპორტის განვითარების საქმეში, სხვადასხვა რანგის საერთაშორისო შეჯიბრებებში, ქვეყანაში, სადაც ფიზკულტურა და სპორტი მთავრობის მუდმივი ყურადღების საგანია.

პრაღაში გამართულ სოკ-ის წინა სესიაზე ოლიმპიადა-80-ის საორგანიზაციო კომიტეტის დელეგაცია წარმატებით გამოვიდა. მოსკოვსა და საბჭოთა ქვეყნის სხვა ქალაქებში XXII თამაშებისთვის მზადება გეგმიანად, ზუსტად მიმდინარეობს და სსრ კავშირში ჩამოსული სოკ-ისა და საერთაშორისო ფედერაციების ხელმძღვანელთა მაღალი შეფასება დაიმსახურა.

მოისმინეს 1980 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძელი ქალაქის ლეიკ-პლესიდის ანგარიშს.

12 მაისს ათენში გაიმართა სოკ-ის პრეს-კომისიის სხდომა, რომელმაც განიხილა ოლიმპიადის გაშუქებასთან დაკავშირებული მორიგი საკითხები. სხდომამ მიიღო ზაფხულის თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის წინადადებები ქვეყნების მიხედვით ჟურნალისტების აკრედიტაციის შესახებ. სესია საზეიმოდ გაიხსნება ხვალ აკროპოლის ძირში მდებარე იროდუს თეატრში.

სესიის მონაწილეები დაათვალიერებენ ძველი საბერძნეთის ძეგლებს, ეწვევიან სოფელ ოლიმპიას, სადაც ტარდებოდა უძველესი ოლიმპიური თამაშები და საიდანაც ოთხ წელიწადში ერთხელ მორიგ მოგზაურობას იწყებს ოლიმპიური ჩირაღდანი.

ოლიმპიური მოძრაობა მნიშვნელოვანი ფაქტორია ურთიერთგაგებისთვის, ხალხთა შორის მეგობრობისა და მშვიდობისათვის ბრძოლის საქმეში. ოლიმპიური მოძრაობა არ უნდა გამოვყოთ პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური პირობებისგან და თანამედროვე ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებებისგან. აი, რატომაა, რომ ოლიმპიური მოძრაობის მნიშვნელოვან პრობლემად რჩება რასობრივი დისკრიმინაციის და სპორტში აპარტეიდის პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სოკ-ი გაკიცხავს იმ საერთაშორისო სპორტულ ფედერაციებს, რომლებიც ოლიმპიური ქარტიის საწინააღმდეგოდ, თავის რიგებში ურიგდებიან რასისტების ყოფნას, თავიანთი ორგანიზაციის წევრებად ცნობენ სამხრეთ აფრიკასა და როდეზიას, ხოლო დემაგოგიურ ლოზუნგებს ამოფარებული ფედერაციების ზოგიერთი ხელმძღვანელები იბრძვიან ოლიმპიადაზე სამხრეთ აფრიკის წარმომადგენელთა დაბრუნებისთვის.

სასურველია, რომ სოკ-ის წევრებმა უარყონ მთელი რიგი სპორტული მოღვაწეების ახალი ცდა პროფესიონალთა მონაწილეობით „ღია" თამაშების ორგანიზების მანკიერი იდეის შესახებ.

სოკ-ის სესიას იმედით მოელის ყველა სპორტის მოყვარული, ვისთვისაც მნიშვნელოვანია ოლიმპიური მოძრაობა, რომელიც მიმართულია მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისკენ. ტყუილად კი არ არის 1981 წლის მომავალი ოლიმპიური კონგრესის დევიზი: საერთაშორისო სპორტული თანამშრომლობისთვის! (საკდესი).

# ერთბაშად 2,6 წამით...

ვაშინგტონის შტატის ქალაქ სიეტლის სტადიონზე გაიმართა მძლეოსანთა შეჯიბრება, რომელშიც დიდ წარმატებას მიაღწია აშშ-ს ერთ-ერთი უნივერსიტეტის სტუდენტმა კენიელმა სტაიერმა ჰ. რონომ.

მძლეოსნობის მოყვარულები ამ სპორტსმენს კარგად იცნობენ მას შემდეგ, რაც მან ამას წინათ 5000 მეტრზე რბენაში მსოფლიო რეკორდი (13.08,4) დაამყარა. რონომ მის მერე კიდევ რამდენიმე შეჯიბრებაში საკმაოდ მაღალი შედეგები მოიპოვა და სპეციალისტებმა იგი სტაიერულ დისტანციებზე მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიადის ერთ-ერთ ფავორიტად დაასახელეს.

სპეციალისტები რომ არ შემცდარან, რონომ ეს სიეტლშიც დაადასტურა: აქ მან ძალა სცადა 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში და ერთბაშად 2,6 წამით გააუმჯობესა ოლიმპიური ჩემპიონის შვედი ა. გერდერუდის მსოფლიო რეკორდი. რონომ სიეტლის სტადიონზე 8.05,4 აჩვენა.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ შეჯიბრებამდე რონოს საუკეთესო შედეგი 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში 8 წუთი და 14,8 წამი იყო, დავრწმუნდებით თუ რაოდენ დიდი შესაძლებლობების მქონეა ახალი რეკორდსმენი.

* * *

სურათზე: კენიელი სტაიერი, ორი მსოფლიო რეკორდის ავტორი ჰ. რონო.

## მძლეოსნობა

**ლოს-ანჯელესის** სტადიონზე გამართულ სტუდენტ-მძლეოსანთა შეჯიბრებაში ოლიმპიადა 76-ის ჩემპიონმა და მსოფლიო რეკორდსმენმა მ. უილკინსმა ბადრო 69,47 მეტრზე ტყორცნა. ეს წლეულს საუკეთესო შედეგია მსოფლიოში.

**ურის** ტყორცნაში მსოფლიოს ექს-რეკორდსმენმა, დასავლეთგერმანელმა კ.-ჰ. რიმმა ჰანოვერში გამართულ შეჯიბრებაში 73,8 მ აჩვენა.

**კუნძულ** მარტინიკის ქალაქ ფორტ-დე-ფრანსის სტადიონზე ბ. ლამიტემ სამხტომში საფრანგეთის ახალი რეკორდი დაამყარა — 16,92 მ. ამერიკელმა ს. უინსონმა 400 მეტრი 45,6 წამში გაირბინა.

**კალიფორნიის** ქალაქ ფრესნოში გამართულ ამერიკელ მძლეოსანთა ტურნირში თ. ვუდსმა 226 სმ სიმაღლე გადალახა, ხოლო ა. ფეირბანკსმა ბირთვის კვრაში წლევანდელ სეზონში საუკეთესო შედეგით (21,07 მ) გაიმარჯვა. აქვე ქ. სტეიდლმა ბადრო 66,08 მეტრზე ტყორცნა.

**ელ-პასოში** ამერიკელმა სპრინტერმა ჯ. დილმა 100 მეტრი 10,06 წამში გაირბინა, ხოლო მისმა თანამემამულემ დ. პარელმა 200 მეტრზე ასპარეზობაში 20,63 წამი აჩვენა.

**კალინინგრადში** გამართულ რსფსრ-ს მძლეოსანთა შეჯიბრებაში ჟურნალ „სპორტივნაია ჟიზნ როსიის" პრიზზე პოდოლსკელმა პ. მისივცევმა 20 კილომეტრზე სპორტულ სიარულში 1 საათი, 23 წუთი და 26 წამი აჩვენა. ეს ახალი მსოფლიო მიღწევაა.

## კალათბურთი

### ჭაბუკთა ნაკრების ტურნე

ნიუ-იორკი. 15 მაისი. (საკდესი). სსრ კავშირის ჭაბუკ კალათბურთელთა ნაკრებმა კიდევ სამი მატჩი ჩაატარა აშშ-ში. ორ შეხვედრაში მათ გამარჯვებას მიაღწიეს — ოჰაიოს შტატის თანატოლ კალათბურთელებთან (126:98) ქალაქ ტროიაში და მიჩიგანის შტატის იუნიორთა ნაკრებ გუნდთან (98:89) ქალაქ ტოლედოში. ამ თამაშებში გამოირჩეოდნენ ცენტრალური მოთამაშეები ბელოსტენნი და დერიუგინი, თანაც ამ უკანასკნელმა ტოლედოში გუნდს 29 ქულა შესძინა.

მხოლოდ ლაფაიეტში (ინდიანას შტატი) სამი შტატის — ინდიანას, კენტუკისა და ოჰაიოს ჭაბუკ კალათბურთელთა ნაკრებ გუნდთან განმეორებით შეხვედრაში დათმეს მატჩი სტუმრებმა — 88:91.

საბჭოთა სპორტსმენებმა შვიდი შეხვედრიდან გაიმარჯვეს ხუთში. ბოლო მატჩს საბჭოთა კალათბურთელები გამართავენ ნიუ-იორკში.

# დამაჯერებელი გამარჯვება

კარგ ტრადიციად იქცა პიონერრაზმეულთა შორის ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონთა პრიზის გათამაშება. წლეულს, 1 ივნისიდან X საკავშირო გათამაშების ფინალს უმასპინძლებს მოლდავეთის ქალაქი ბელცი.

პრიზის გათამაშებაში მუდამ აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოს მოჭადრაკე პიონერები. 1974 და 1975 წლებში პრიზის მფლობელები იყვნენ თბილისის 1-ლი ექსპერიმენტული საშუალო სკოლის მოჭადრაკეები, 1976 წლის გათამაშებაში IV ადგილზე გავიდა ქუთაისის 31-ე საშუალო სკოლის გუნდი, შარშან III პრიზიორი იყო ქუთაისის მე-15 საშუალო სკოლის კოლექტივი.

წლევანდელ რესპუბლიკურ გათამაშებაში, რომელიც ამას წინათ ცხაკაიაში ჩატარდა, მხოლოდ 6 გუნდი მონაწილეობდა. თითოეულ გუნდში 4 ჭაბუკი და 1 გოგონა იყო.

შთამბეჭდავად გაიმარჯვა ქუთაისის მე-15 საშუალო სკოლის გუნდმა (კ. შავგულიძე, ზ. ლომიძე, კ. რაზოვსკი, რ. ესებუა დ. ფახიროვა), რომელმაც ხუთივე შეხვედრა მოიგო „მშრალი" ანგარიშით 5:0.

II ადგილი ხვდათ რუსთაველ პიონერებს, III — გალის ნორჩ მოჭადრაკეებს.

მოლდავეთში საასპარეზოდ გაემგზავრებიან ქუთაისელი პიონერები.

გათამაშების შესახებ საქართველოს სპორტკომიტეტის მთავარმა მწვრთნელმა ჭადრაკში, საკავშირო კატეგორიის მსაჯმა რ. თავარიანმა გვითხრა:

— გვაოცებს თბილისის, აჭარისა და გორის სპორტის მესვეურთა დამოკიდებულება პიონერ-მოჭადრაკეთა ასპარეზობის მიმართ. თბილისელები უკვე მეორე წელია თავს არიდებენ შეჯიბრებას. ფინალში 8 გუნდის ნაცვლად მხოლოდ ექვსი მონაწილეობდა. პრიზიორების გარდა სარბიელზე გამოვიდნენ ცხაკაიას, ცხინვალისა და სამტრედიის გუნდები (ეს უკანასკნელი დამატებით დავუშვით). ზრუნვა მომავალი თაობის დაოსტატებაზე ყველას მოვალეობაა, ამიტომ საჭიროა ახლავე მკაცრად მოვთხოვოთ პასუხი მათ, ვისი მიზეზითაც პიონერებმა ვერ მიიღეს მონაწილეობა შეჯიბრებაში.

**თ. ნინოშვილი.**

## ჭადრაკი

# განთიადელთა წინსვლა

მოგილიოვში (ბელორუსია) დამთავრდა სსრ კავშირის სპორტსაზოგადოებებისა და უწყებათა კოლექტივების პირველობა I ლიგის გუნდებს შორის. თითოეულ გუნდში იყო 3 ვაჟი, თითო ჭაბუკი, ქალი და გოგონა.

საასპარეზოდ ძლიერმა გუნდებმა მოიყარეს თავი. ზოგ მათგანში ცნობილი მოჭადრაკეები გამოდიოდნენ. მაგალითად, „ლოკომოტივის" შემადგენლობაში იყვნენ დიდოსტატები სსრ კავშირის ჩემპიონი ბ. გულკო და ლ. პოლუგაევსკი, „დაუგავაში" (ლატვია) — მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მ. ტალი, „კალევში" (ესტონეთი) — საერთაშორისო ოსტატი ი. ნეი.

საქართველოს სპორტულ ღირსებას იცავდა „განთიადის" ცენტრალური საბჭოს გუნდი (ოსტატი ი. ჩიქოვანი, ოსტატობის კანდიდატები გ. მაჭარაშვილი, მ. ჭიპაშვილი, ოსტატები ზ. სტურუა, ციური კობაიძე, ოსტატობის კანდიდატი ლელა თანდაშვილი).

I ადგილი და უმაღლესი ლიგის ტურნირში თამაშის უფლება „ლოკომოტივმა" (21,5 ქულა) მოიპოვა. შემდეგ ადგილებზე არიან II. „განთიადი" — 17, III. „კალევი" — 16, IV-V. „კრასნოე ზნამია", „დაუგავა" — 12-12, VI. „ფიზკულტურა და სპორტის" ცენტრალური საბჭოს გუნდი — 11,5.

განთიადელებმა სძლიეს „კალევს" (3,5:2,5), „დაუგავას" (3,5:2,5), „კრასნოე ზნამიას" (4,5:1,5), დაუზავდნენ „ფიზკულტურა და სპორტს" (3:3) და დამარცხდნენ „ლოკომოტივთან" (2,5:3,5).

გუნდის თითოეულმა წევრმა ასე ითამაშა: ი. ჩიქოვანი — 2,5 ქულა 5-დან (I დაფაზე III ადგილი პოლუგაევსკისა და ტალის შემდეგ), გ. მაჭარაშვილი — 1 (ყაიმი გულკოსთან), მ. ჭიპაშვილი — 2, ზ. სტურუა — 4 ქულა (ჭაბუკთა დაფაზე II ადგილი), ც. კობაიძე — 3,5 (ქალთა დაფაზე II ადგილი), ლ. თანდაშვილი — 4 (გოგონათა დაფაზე I ადგილი).

განთიადელ მოჭადრაკეთა თავკაცმა საქართველოს სსრ დამსახურებულმა მწვრთნელმა ო. ალხანიშვილმა თქვა:

— ჩვენი გუნდი ცუდად როდი გამოვიდა, თუმცა უმაღლეს ლიგაში ვერ გავიდა. II ადგილი უტყუარი წინსვლაა. ამჟამად საქართველოს დიდოსტატები და უძლიერესი ოსტატები სხვადასხვა სპორტსაზოგადოების ინტერესებს იცავენ. ვფიქრობთ, უკეთესი იქნება, რომ მათი უმრავლესობა „განთიადში" გაერთიანდეს. მაშინ ეს გუნდი, როგორც „დაუგავა" და „კალევი", ფაქტიურად რესპუბლიკის ნაკრების სახეს მიიღებს და იგი უეჭველად პირველობის უმაღლესი ლიგის მუდმივი ბინადარი გახდება.

**ნ. იმესაშვილი.**

## „სპორტლოტო"

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „შაბათის სპორტლოტოს" მეთვრამეტე ტირაჟისა, რომელიც 6 მაისს მოსკოვში მოეწყო.

**პირველი:** ხუთი ნომერი ვერავინ გამოიცნო; ოთხი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 221 მანეთია, სამისთვის — 5.

**მეორე:** ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 5 ათასი მანეთია, ოთხისთვის — 154, სამისთვის — 6.

მოგებული თანხა გაიცემა 17 მაისიდან 17 ივნისის ჩათვლით.

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოსა" და „სპორტლოტო-2"-ის მეცხრამეტე ტირაჟისა, რომელიც 10 მაისს მოსკოვში მოეწყო.

**„სპორტლოტო":** ექვსი ნომერი ვერავინ გამოიცნო; ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება — 4483 მანეთია, ხუთისთვის (შეღავათიანი ბურთულით) — 86, ოთხისთვის — 61, სამისთვის — 4.

**„სპორტლოტო-2":** ექვსი ნომერი აქაც ვერავინ გამოიცნო; ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 1965 მანეთია, ხუთისთვის (შეღავათიანი ბურთულით) — 62, ოთხისთვის — 37, სამისთვის — 3.

მოგებული თანხა გაიცემა 21 მაისიდან 21 ივნისის ჩათვლით.

**რედაქტორი ა. ბასილაია.**


ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი

(აკ. წერეთლის პრ. № 2)

18 მაისი

ფეხბურთი

სსრ კავშირის ჩემპიონატი

„დინამო" (თბილისი) — „ნეფთჩი" (ბაქო)

დასაწყისი 19 ს.

ბილეთები გაიყიდება: ორგანიზაციებზე — 16 და 17 მაისს დილის 10 საათიდან; საერთო გაყიდვა — 18 მაისს დილის 10 საათიდან „დინამოს" სტადიონის სალაროებში.



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-98-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.


ИНДЕКС 66435 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 02033